# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №268

ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი №SPA170005546

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ,

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია**
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, **შოთა მურღულიას** სახით,
მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: +995 431-24-54-54
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
**(შემდგომში შემსყიდველი)**

და მეორეს მხრივ,
**შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"**
წარმოდგენილი შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"-ის დირექტორის, **გია კოპალეიშვილის** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, ლესელიძის 1ჩ. №15
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412676322
ტელეფონის ნომერი: +995 579-20-20-20
ვებ გვერდი: gi-an2011@mail.ru
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE44BG0000000893166900
**(შემდგომში მომწოდებელი)**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის, **შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"**-ის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ **ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია**, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქალაქ ქუთაისში, სოლომონ პირველის ქ. №46ა-ში მდებარე ე.წ. ,,ხარაზოვის" სკვერში არსებული ტერიტორიის

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია -------------------- შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"

და შადრევნის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვა, გეგმა-გრაფიკი და მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45100000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 419990 (ოთხას ცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად შეამოწმოს სამუშაოები, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყონებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი."

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

## 5. სამუშაოს შესრულების ვადები

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ქალაქ ქუთაისში, სოლომონ პირველის ქ. №46ა-ში მდებარე ე.წ. „ხარაზოვის“ სკვერში არსებული ტერიტორიის და შადრევნის რეაბილიტაციის სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, 2017 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, 2017 წლის 3 ივლისის ჩათვლით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

6.2 ,,მიმწოდებელმა“ ხარისხის საკონტროლოდ უნდა წარმოადგინოს ბეტონის ნარევის და ბეტონის ფილების მარკიანობის ლაბორატორიული დასკვნა.

6.3 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაობის ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს.

6.4 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

6.5 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მიმართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,

გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ____________________ შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" ____________

დ) ექსპერტიზის დასკვნა - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს,
ე) ბეტონის ნარევის და ბეტონის ფილების მარკიანობის ლაბორატორიული დასკვნა,
ვ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ–ს ანგარიშფაქტურა.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5 „მიმწოდებლი"–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 20%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლმა" უნდა წარმოადგინოს მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას (წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა უნდა დადასტურდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ან/და წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი"-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევარი (2.5%) დაბრუნდება სამუშაოების სრულად დასრულებისა და „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი - (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი") სამუშაოების საგარანტიო ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ. საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია 3 (სამი) თვის ვადაში მიმართოს „შემსყიდველს" დაკავებული თანხის დაბრუნების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი" არ მიმართავს თანხის დაბრუნების თაობაზე, ასევე „შემსყიდველი"- ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან სპეციალური კომისია აქტის შედგენისას დააფიქსირებს შესრულებული სამუშაოს ნაკლს ან უხარისხობას, „მიმწოდებელს" აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

## 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება **2 (ორი)** წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------------------------------------- შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" ----------------

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ქვეკონტრაქტორები

10.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.
10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
12.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1 ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და ძალაშია 2017 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.
13.2 ხელშეკრულების შესრულების მიზნით „შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილია ს.ს. „ვითიბი ბანკის"-ს მიერ 2017 წლის 28 ივნისს გაცემული №BGMP0692/270617 საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით – 20999,5 (ოცი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარზე, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რაც მიადგება ,,შემსყიდველს" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება ,,მიმწოდებლისაგან" და-მოუკიდებელი მიზეზებით, ,,შემსყიდველი" ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყონებლივ დაბრუნება.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ____________ შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" ____________

დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

14.3 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, (თვითნებურობის ფაქტს დაადგენს „შემსყიდველი" ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე პერიოდში) „მიმწოდებელი" გადაიხდის ჯარიმას 252000 (ორას ორმოცდათორმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

14.4 ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ვადაგადაცილებულ დღეებზე.

14.5 თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს სამუშაოების დასრულების ვადას, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

14.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 14.5 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%–ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.7 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" გადაიხდის პირგასამტეხლოს, 336000 (სამას ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

14.8 წინამდებარე ხელშეკრულების 14.3 და 14.7 მუხლებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ გამოიყენება ერთდროულად.

14.9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

14.10 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.11 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" თავისუფლდება ხელშეკრულების 14.5 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

## 15. დაუძლეველი ძალა

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

15.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, გარდა მე-7 მუხლის 7.6 და მე-8 მუხლის 8.1 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ------------------------------ შ.პ.ს. „გი-ან 2011" ----------------

VTB

28.06.17 №

ხელშეკრულების შესრულების
საგარანტიო უზრუნველყოფა
№BGMP0692/270617

| | |
|---|---|
| გარანტი: | სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ს/კ 202906427 |
| პრინციპალი: | შპს „გი-ან 2011", ს/კ 412676322 |
| ბენეფიციარი: | ქალაქ ქუთაისის მერია |
| საგარანტიო თანხა: | 20,999.50 (ოცი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი |

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება ქალაქ ქუთაისში, სოლომონ პირველის ქ. №46ა-ში მდებარე ე.წ. „ხარაზოვის" სკვერში არსებული ტერიტორიის და შადრევნის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარების თაობაზე (ელ ტენდერის №SPA170005546), რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობების შესრულების გარანტიის წარმოდგენას, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე 20,999.50 (ოცი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულებას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თქვენი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება, რომლის გამოც მოხდა მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია გარანტის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", სათავო ოფისი, გ.ჭანტურიას ქ. №14, თბილისი, 0114, საქართველო, თბილისის დროით 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით და/ან საბანკო გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით.

საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

*სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის უფროსი*
*ლია ძნელაძე*

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია 1 VTB საიდენტიფიკაციო № 202906427

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14

ტელეფონი:
+(995) 32 224-24-24
ფაქსი:
+(995) 32 293-32-91

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.ge

ქ. ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის 46ა მიმდებარედ

ე.წ. "ხარაზოვის" სკვერის შადრევანისა და სკვერის ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზ | რაოდ | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფასი | სულ | ფასი | სულ | ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | I. შადრევნის რეაბილიტაცია | | | | | | | | | |
| 1 | მთავარ შესასვლელ ალეაზე შადრევნის ირგვლივ აღებული იქნეს (მაქსიმალურ დაუზიანებლად) ბაზალტის ქვა | $მ^2$ | 590.00 | | 0.00 | 1.50 | 885.00 | 0.10 | 59.00 | 944.00 |
| 2 | აღებული იქნეს შადრევანში ჩაფენილი ხისა და რეზინის ფენილი | $მ^2$ | 190.00 | | 0.00 | 0.50 | 95.00 | 0.20 | 38.00 | 133.00 |
| 3 | იგივეში მოჭრილი იქნეს მე-4 კატეგორიის ყამირი | $მ^3$ | 68.20 | | 0.00 | 7.50 | 511.50 | | 0.00 | 511.50 |
| 4 | მოიხსნას იგივეზე მე-4 კატეგორიის ყამირის გვერდულები 20 სმ-ზე. | $მ^3$ | 38.00 | | 0.00 | 7.50 | 285.00 | | 0.00 | 285.00 |
| 5 | გაიჭრას მექანიზმით მე-4 კატეგორიის ყამირი 1,20 სიღრმეზე დახრილობით (გამშვები სისტემის მიღების მოსაწყობად | $მ^3$ | 25.20 | | 0.00 | 1.50 | 37.80 | 5.95 | 149.94 | 187.74 |
| 6 | გატანილი იქნეს სამშენებლო ნაგავი და მიწა15კმ. | ტ | 40.00 | | 0.00 | 6.25 | 250.00 | 7.80 | 312.00 | 562.00 |
| 7 | შემოტანილი იქნას ქვიშა-ღორღი შადრევნის ძირის მოსასწორებლად | $მ^3$ | 12.00 | 18.00 | 216.00 | 3.00 | 36.00 | 16.00 | 192.00 | 444.00 |
| 8 | მოეწყოს ქარგილი ("აპალოვკა") შადრევნის გვერდების მოსაწყობად | მ | 78.00 | 8.50 | 663.00 | 2.00 | 156.00 | 1.00 | 78.00 | 897.00 |
| 9 | შემოტანილი იქნეს ბეტონი მ-200 კალმატრონიანი | $მ^3$ | 61.00 | 101.40 | 6185.40 | 25.00 | 1525.00 | 15.00 | 915.00 | 8625.40 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | იგივეზე სილა-ცემენტის (კალმატრონიანი) ხსნარით (3 სმ-იანი სიმაღლიღლით) მოჭიმვის მოწყობა | მ$^2$ | 196.80 | 6.10 | 1200.48 | 5.00 | 984.00 | 0.80 | 157.44 | 2341.92 |
| 11 | შადრევნის ძირი და გვერდები დაიფაროს დეკორატიული მოზაიკური კაფელის ფენით | მ$^2$ | 148.00 | 25.00 | 3700.00 | 10.00 | 1480.00 | 0.50 | 74.00 | 5254.00 |
| 12 | შადრევნის ირგვლივ ბეტონის წებო-ცემენტის ხსნარითა და არმატურის შტირებით დამაგრდეს ბაზალტის ქვა (100X200მმ-ზე)-ქვედა ძირი | მ | 75.00 | 5.40 | 405.00 | 2.00 | 150.00 | 0.20 | 15.00 | 570.00 |
| 13 | იგივეზე მოეწყოს ბაზალტის გათლილი ბლოკი (300X300მმ-ზე) ზემოდან | მ | 75.00 | 42.00 | 3150.00 | 3.00 | 225.00 | 0.20 | 15.00 | 3390.00 |
| 14 | იგივეზე არმატურის შტირები Φ-12 (ურთიერთ დაკავშირება) | მ | 80.00 | 1.40 | 112.00 | 0.50 | 40.00 | 0.10 | 8.00 | 160.00 |
| 15 | შადრევნის იატაკზე მოეწყოს ცხაური (ფასონური ნაწილით) | ც | 1.00 | 114.00 | 114.00 | 25.00 | 25.00 | 1.50 | 1.50 | 140.50 |
| 16 | გაჭრილი ტრანშეის ნაწილში მოეწყოს ბეტონის ჭა Φ-1000მმ თავისივე ბეტონის ქუდით და ჭის თავით | ც | 1.00 | 390.00 | 390.00 | 15.00 | 15.00 | 150.00 | 150.00 | 555.00 |
| 17 | იგივეში მოეწყოს ბეტონის ძირი | მ$^3$ | 0.01 | 203.00 | 2.03 | 500.00 | 5.00 | | 0.00 | 7.03 |
| 18 | გაჭრილ ტრაშეიში ჩაიყაროს სილის ფენა | მ$^3$ | 5.00 | 25.40 | 127.00 | 1.50 | 7.50 | 8.00 | 40.00 | 174.50 |
| 19 | იგივეში ჩაიწყოს პლასტმასის გოფრირებული მილი Φ-100 | მ | 55.00 | 15.50 | 852.50 | 1.25 | 68.75 | 0.30 | 16.50 | 937.75 |
| 20 | იგივეში ჩაიყაროს ღორღი-ქვიშა | მ$^3$ | 40.00 | 21.00 | 840.00 | 1.25 | 50.00 | 8.00 | 320.00 | 1210.00 |
| 21 | აუზის წყლის დამცლელი სისტემის დაერთება არსებულ საკანალიზაციო ჭასთან | წერტილი | 1.00 | | 0.00 | 30.00 | 30.00 | | 0.00 | 30.00 |
| | ჯამი I: | | | | | | | | | 27360.34 |
| | II. სკვერის ტერიტორიის რეაბილიტაცია (სავალი ნაწილები, ბილიკები) | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიწაში ჩაფლული არსებული გრანიტისა და ბეტონის ბორდიურების ამოღება ხელით (გრანიტი განმეორებითი გამოყენებისათვის) | მ | 300.00 | | 0.00 | 1.50 | 450.00 | 0.20 | 60.00 | 510.00 |
| 2 | ბილიკებისა და სავალი ნაწილების მოსაწყობად ტრანშეის გაჭრა ხელით 25სმ სიგანითა და სხვადასხვა ნიშნულზე ჩაღრმავებით | $მ^3$ | 179.20 | | 0.00 | 0.60 | 107.52 | | 0.00 | 107.52 |
| 3 | ბეტონის ბორდიურების მოსაწყობად ხის ქარგილის (მრავალჯერადი გამოყენების-"აპალოვკის") მოწყობა | მ | 1120.00 | 8.50 | 9520.00 | 2.00 | 2240.00 | 1.00 | 1120.00 | 12880.00 |
| 4 | 20-სმ-იანი მ-200 ბეტონის ბორდიურის ჩამოსხმა სხვადასხვა დონეზე რელიეფის მიხედვით (რელიეფის მიხედვით) | $მ^3$ | 179.20 | 89.00 | 15948.80 | 25.00 | 4480.00 | 15.00 | 2688.00 | 23116.80 |
| 5 | ბორდიურებს შორის მოწყობილი ბილიკების შევსება ქვიშა-სილის ფენით (რელიეფის მიხედვით) | $მ^3$ | 36.20 | 18.00 | 651.60 | 3.00 | 108.60 | 16.00 | 579.20 | 1339.40 |
| 6 | იგივეზე დეკორატიული ბეტონის ფილების მოწყობა სილა-ცემენტის ხსნარზე | $მ^2$ | 724.00 | 13.50 | 9774.00 | 8.00 | 5792.00 | 2.50 | 1810.00 | 17376.00 |
| 7 | მთავარი სამანქანო (სახანძრო) შემოსასვლელი გზის მოკირწყვლა გრანიტის ძელაკებით, 15X10X15 სმ (ბულიჟნიკი), ქვიშით მომზადებულ საფუძველზე | $მ^2$ | 150.00 | 92.00 | 13800.00 | 8.00 | 1200.00 | 0.80 | 120.00 | 15120.00 |
| 8 | ბეტონის საფეხურების მოპირკეთება ბაზალტის 4 სმ-იანი სისქის ფილით (სავალ ბილიკებში) | $მ^2$ | 44.30 | 50.00 | 2215.00 | 25.00 | 1107.50 | 11.50 | 509.45 | 3831.95 |
| 9 | გაიჭრას მე-4 კატეგორიის გრუნტი მცირე ზომის საყრდენი კედლის მოსაწყობად, ზომით 0,25X0,4X87 მ (ადგილ-ადგილ) | $მ^3$ | 8.70 | | 0.00 | 9.50 | 82.65 | | 0.00 | 82.65 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | აღმოსავლეთ მხარეს (მთავარი შემოსასვლელი ალეა) მოეწყოს მცირე ზომის საყრდენი კედელი, ზომით 0,2X1,3 მ, ბეტონი მ-200 (თავისივე ქარგილით) | მ | 100.00 | 23.00 | 2300.00 | 3.00 | 300.00 | 2.50 | 250.00 | 2850.00 |
| 11 | იგივე მოპირკეთდეს გრანიტის თერმულად დამუშავებული ფილით, სისქით 3 სმ, 87X0,9 მ | $მ^2$ | 80.00 | 73.00 | 5840.00 | 6.00 | 480.00 | 3.00 | 240.00 | 6560.00 |
| 12 | იგივეზე მოეწყოს ქუდი წებოცემენტის ხსნარზე, 87X0,3მ | $მ^2$ | 30.00 | 73.00 | 2190.00 | 4.00 | 120.00 | 3.00 | 90.00 | 2400.00 |
| 13 | მთავარი შემოსასვლელი კიბის მოწყობა (სოლომონ პირველის ქუჩიდან) ბეტონი მ-200 | $მ^3$ | 7.50 | 135.00 | 1012.50 | 25.00 | 187.50 | 15.00 | 112.50 | 1312.50 |
| 14 | იგივეზე ბეტონის ტუმბოების (ჰ=1,0მ) და ბორდიურების მოწყობა სვადასხვა ნიშნულზემ-200 | $მ^3$ | 5.80 | 135.00 | 783.00 | 25.00 | 145.00 | 15.00 | 87.00 | 1015.00 |
| 15 | იგივეების ბაზალტის ქვით მოპირკეთება | $მ^2$ | 48.00 | 50.00 | 2400.00 | 25.00 | 1200.00 | 11.50 | 552.00 | 4152.00 |
| 16 | იგივეზე გრანიტის დეკორატიული ქვის " შარის " მოწყობა | ც | 2.00 | 115.00 | 230.00 | 150.00 | 300.00 | 40.00 | 80.00 | 610.00 |
| 17 | ანალები და ახალი ბაზალტის ფილების (შადრევნის ირგვლივ) ქვაფენილის განმეორებით დაგება სილა-ცემენტის ხსნარზე | $მ^2$ | 590.00 | 5.20 | 3068.00 | 25.00 | 14750.00 | 0.70 | 413.00 | 18231.00 |
| 18 | ახალი ბაზალტის ქვაფენილის შემოტანა და დაგება ბიუსტთან მისასვლელად სილა-ცემენტის ხსნარზე | $მ^2$ | 10.00 | 50.00 | 500.00 | 25.00 | 250.00 | 11.50 | 115.00 | 865.00 |
| 19 | ბეტონის საყვავილეების მოწყობა 0.50 სმ სიმაღლით თავისივე ქარგილით (მთ. შემოსასვლელი) | $მ^3$ | 1.20 | 135.00 | 162.00 | 25.00 | 30.00 | 15.00 | 18.00 | 210.00 |
| 20 | იგივეს მოპირკეთება ბაზალტის ფილებით. | $მ^2$ | 19.20 | 50.00 | 960.00 | 25.00 | 480.00 | 11.50 | 220.80 | 1660.80 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | მთავარ შემოსასვლელში ინვალიდთა პანდუსზე ალუმინის მოაჯირის მოწყობა მონტაჟით | მ | 5.40 | 100.00 | 540.00 | 35.00 | 189.00 | 6.00 | 32.40 | 761.40 |
| 22 | აღმოსავლეთის მხრიდან, ინვალიდთა პანდუსზე მილიკვადრატისაგან შედგენილი მოაჯირის მოწყობა მონტაჟი | მ | 25.50 | 58.00 | 1479.00 | 10.00 | 255.00 | 3.50 | 89.25 | 1823.25 |
| 23 | საბავე მერხების შეძენა მონტაჟი | ც | 30.00 | 230.00 | 6900.00 | 5.00 | 150.00 | 5.00 | 150.00 | 7200.00 |
| 24 | საბავე ურნების შეძენა მონტაჟი | ც | 50.00 | 120.00 | 6000.00 | 3.00 | 150.00 | 2.50 | 125.00 | 6275.00 |
| | ჯამი II: | | | | | | | | | 130290.27 |
| | III. სკვერის შემოღობვა | | | | | | | | | |
| 1 | მოინგრეს არსებული ბეტონის, აგურისგან ადრინდელი ღობის ნარჩენები (ადგილ-ადგილ) | $მ^3$ | 3.90 | | 0.00 | 20.00 | 78.00 | 2.50 | 9.75 | 87.75 |
| 2 | გაიჭრას მე-4 კატეგორიის ყამირი ტრანშეი, ღობის მოსაწყობად | მ | 85.00 | | 0.00 | 7.50 | 637.50 | | 0.00 | 637.50 |
| 3 | მოეწყოს ხის ქარგილი ("აპალოვკა") | მ | 400.00 | 8.50 | 3400.00 | 2.00 | 800.00 | 1.00 | 400.00 | 4600.00 |
| 4 | ჩაისხას ბეტონი მ-200 ღობის მოსაწყობად სხვადასხვა ნიშნულებზე 20სმ-ი სიგანით | მ | 280.00 | 135.00 | 37800.00 | 25.00 | 7000.00 | 15.00 | 4200.00 | 49000.00 |
| 5 | მოეწყოს სექციური დეკორატიული რკინის ღობე (მთ. ფასდი) | $მ^2$ | 133.00 | 70.00 | 9310.00 | 12.00 | 1596.00 | 0.70 | 93.10 | 10999.10 |
| 6 | ბეტონის სხმული კედელი მოპირკეთდეს ბეტონის კედლის მოსაპირკეთებელი დეკორატიული ფილით (გარე ფასადზე ირგვლივ) | $მ^2$ | 330.00 | 25.00 | 8250.00 | 8.00 | 2640.00 | 0.30 | 99.00 | 10989.00 |
| 7 | სკვერის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს მოეწყოს ბეტონის ღობე ზომით 0,2X0,8 მ-ზე | მ | 280.00 | 21.50 | 6020.00 | 2.00 | 560.00 | 1.50 | 420.00 | 7000.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | იგივეზე მოეწყოს ბეტონის ფილებისაგან დამზადებული ქუდი, 30 სმ-ის სიგანის (აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს) | მ | 280.00 | 7.50 | 2100.00 | 1.50 | 420.00 | 0.20 | 56.00 | 2576.00 |
| 9 | იგივე შიგა მხრიდან შეიბრიზგოს ცემენტის მაღალი ხარისხის ხსნარით | $მ^2$ | 320.00 | 5.00 | 1600.00 | 2.00 | 640.00 | 0.20 | 64.00 | 2304.00 |
| 10 | რკინის დეკორატიული ღობე შეიღებოს ზეთოვანი საღებავით 2-ჯერ | $მ^2$ | 140.00 | 2.45 | 343.00 | 2.50 | 350.00 | 0.20 | 28.00 | 721.00 |
| 11 | მოეწყოს რკინის ორფრთიანი ჭიშკარი საკეტზე (მონტაჟი შეღებვით) | ც | 1.00 | 180.00 | 180.00 | 50.00 | 50.00 | 20.00 | 20.00 | 250.00 |
| | ჯამი III: | | | | | | | | | 89164.35 |
| | IV: დენდროლოგიური და მიწის სამუშაოები | | | | | | | | | |
| 1 | გაისხლას მაღალტანიანი ხე მცენარეები (ერთ ხეზე 4-6 ტოტის შეჭრით) | ც | 20.00 | | 0.00 | 1.00 | 20.00 | 0.20 | 4.00 | 24.00 |
| 2 | ამოღებულიქნეს ზედმეტი ხე-ბუჩქი ძირებიანად | ც | 30.00 | | 0.00 | 1.00 | 30.00 | 0.20 | 6.00 | 36.00 |
| 3 | გატანილი იქნეს უვარგისი მიწის ფენა | ტნ | 5.00 | | 0.00 | 5.00 | 25.00 | 5.00 | 25.00 | 50.00 |
| 4 | შეიკრიჭოს ბალახი ადგილ-ადგილ | $მ^2$ | 100.00 | | 0.00 | 1.00 | 100.00 | 0.50 | 50.00 | 150.00 |
| 5 | მოიჭრას სამცენარო მიწა ხელით და შეინახოს განმეორებითი გამოყენებისათვის | $მ^2$ | 100.00 | | 0.00 | 1.00 | 100.00 | | 0.00 | 100.00 |
| 6 | შემოტანილ იქნეს მიწა ტერიტორიის, რელიეფის მოსასწორებლად და გაიშალოს ხელით | $მ^3$ | 1000.00 | 0.50 | 500.00 | 0.50 | 500.00 | 0.50 | 500.00 | 1500.00 |
| 7 | იგივეზე გაიშალოს შენახული სამცენარო მიწა და შევსოს ახალი ფენით (მთავარი შემოსასვლელის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს ხელით მომზადდეს საყვავილე გაზონი) | $მ^3$ | 110.00 | 10.00 | 1100.00 | 0.50 | 55.00 | 1.00 | 110.00 | 1265.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | მოიჭრას კორდი, შემოიზიდოს ა/მანქანებით, დაიგოს ხელით რეიკის ქვეშ და მოირწყოს | $მ^2$ | 1500.00 | 10.00 | 15000.00 | 0.50 | 750.00 | 0.50 | 750.00 | 16500.00 |
| 9 | გაიჭრას ორმოები ხეებისა და მცენარეების დასარგავად ზომით 0,5X0,5X0,5 მ | ც | 200.00 | | 0.00 | 5.00 | 1000.00 | | 0.00 | 1000.00 |
| | გამზადებულ ორმოებში დაირგოს ყვავილები და მცენარეები: | ც | 200.00 | | 0.00 | 5.00 | 1000.00 | 2.00 | 400.00 | 1400.00 |
| | ნაძვი ხე, თეთრი ფერის (ციმბირული), დაბალი ჯიშის | ც | 20.00 | 120.00 | 2400.00 | | | | | 2400.00 |
| | ირმის რქა | ც | 10.00 | 45.00 | 450.00 | | | | | 450.00 |
| | ვარდი | ც | 100.00 | 7.00 | 700.00 | | | | | 700.00 |
| | ბიოტა | ც | 10.00 | 25.00 | 250.00 | | | | | 250.00 |
| | ჭანჭყატი | ც | 10.00 | 25.00 | 250.00 | | | | | 250.00 |
| | კვიპაროსი | ც | 20.00 | 30.00 | 600.00 | | | | | 600.00 |
| | იაპონური კომში | ც | 10.00 | 20.00 | 200.00 | | | | | 200.00 |
| 10 | არღავანა | ც | 10.00 | 25.00 | 250.00 | | | | | 250.00 |
| | გერანი | ც | 10.00 | 3.00 | 30.00 | | | | | 30.00 |
| | ხლოროფიტუმი | ც | 10.00 | 3.00 | 30.00 | | | | | 30.00 |
| | პეტუნიები- მორწყვით | ც | 200.00 | 1.00 | 200.00 | | | | | 200.00 |
| | ასრა-მორწყვით | ც | 200.00 | 0.50 | 100.00 | | | | | 100.00 |
| | ცინია | ც | 200.00 | 1.20 | 240.00 | | | | | 240.00 |
| | კლეომა | ც | 200.00 | 1.00 | 200.00 | | | | | 200.00 |
| | ცელოზია | ც | 200.00 | 1.00 | 200.00 | | | | | 200.00 |
| | ეზეკერია | ც | 10.00 | 1.50 | 15.00 | | | | | 15.00 |
| | სალვია | ც | 10.00 | 1.00 | 10.00 | | | | | 10.00 |
| | აგავა (დიდი ზომის) | ც | 10.00 | 70.00 | 700.00 | | | | | 700.00 |
| | ჯამი IV: | | | | | | | | | 28850.00 |
| | ჯამი I+II+III+IV: | | | | | | | | | 275664.96 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 27566.50 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯამი | | | | | | | | 303231.46 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | 24258.52 |
| | ჯამი : | | | | | | | | 327489.97 |
| | გაუთვალისწინებელი სამუშაოები 5 % | 5% | | | | | | | 16374.50 |
| | სულ ჯამიI+II+III+IV: | | | | | | | | 343864.47 |
| | V: ელექტრომომარაგება | | | | | | | | |
| 1 | სიღრმისეული წყლის ტუმბო Q-(წარმადობა) 15000ლ/სთ h=10მ 220ვ/750ვტ | ცალი | 3.00 | 780.00 | 2340.00 | 100.00 | 300.00 | 23.00 | 69.00 | 2709.00 |
| 2 | სფერული ვენტილი დ=50 | ცალი | 1.00 | 38.00 | 38.00 | 30.00 | 30.00 | 1.20 | 1.20 | 69.20 |
| 3 | ურდული დ=100 (კომპლექტი) | ცალი | 1.00 | 376.00 | 376.00 | 80.00 | 80.00 | 11.30 | 11.30 | 467.30 |
| 4 | საკანალიზაციო მილი დ=100 | გრძ/მ | 55.00 | 7.50 | 412.50 | 8.00 | 440.00 | 0.20 | 11.00 | 863.50 |
| 5 | სამკაპი დ=100გაშლილი კუთხით | ცალი | 1.00 | 3.60 | 3.60 | 7.00 | 7.00 | 0.10 | 0.10 | 10.70 |
| 6 | მუხლი დ=100 | ცალი | 3.00 | 3.40 | 10.20 | 0.40 | 1.20 | 0.10 | 0.30 | 11.70 |
| 7 | პლასტმასის მილი დ=50 | გრძ/მ | 45.00 | 8.80 | 396.00 | 7.00 | 315.00 | 0.30 | 13.50 | 724.50 |
| 8 | ქურო დ=50 | ცალი | 11.00 | 2.30 | 25.30 | 7.00 | 77.00 | 0.10 | 1.10 | 103.40 |
| 9 | დ=50 წყლის ფილტრი | ცალი | 1.00 | 12.00 | 12.00 | 20.00 | 20.00 | 0.40 | 0.40 | 32.40 |
| 10 | წყლის მრიცხველი მიწაში სამონტაჟო ყუთით (კომპლექტი) | ცალი | 1.00 | 220.00 | 220.00 | 80.00 | 80.00 | 6.50 | 6.50 | 306.50 |
| 11 | სპრინკლერი 5ც-8მმ+1ც=20მმ ქიმ-ბით, 40მმ/შემსვლელით h=0,4მ სპილენძით დაფარული | ცალი | 3.00 | 630.00 | 1890.00 | 190.00 | 570.00 | 19.00 | 57.00 | 2517.00 |
| 12 | ჰერმეტიული 3-პოლუსა შტეფსელი | ცალი | 3.00 | 8.50 | 25.50 | 8.00 | 24.00 | 0.30 | 0.90 | 50.40 |
| 13 | არსებულ ქსელზე დაერთებითა და საჰაერო ხაზით მრავალძარღვა ელ-კაბელის 3*4კვ.მმ შადრევნამდე მიყვანა | მ | 55.00 | 2.80 | 154.00 | 5.00 | 275.00 | 0.10 | 5.50 | 434.50 |
| 14 | იგივეს მიწის ქვეშ გოფრირებულ მილებში გატარება და ტუმბობზე დაერთება | მ | 10.00 | 3.60 | 36.00 | 0.90 | 9.00 | 0.10 | 1.00 | 46.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | იგივე შეივსოს ქვიშის ფენით და მასზე მოეწყოს აგური და შეივსოს ქვიშით | კბ.მ | 3.00 | 21.00 | 63.00 | 5.00 | 15.00 | 7.00 | 21.00 | 99.00 |
| 16 | მრავალძარღვა ელ-კაბელი 3*4კვ.მმ | გრძ/მ | 55.00 | 2.80 | 154.00 | 2.50 | 137.50 | 0.10 | 5.50 | 297.00 |
| 17 | დიფ. ავტომატური ამომრთველი 220ვ/16ამპ/30მამ | ცალი | 1.00 | 69.60 | 69.60 | 20.00 | 20.00 | 2.04 | 2.04 | 91.64 |
| | ჯამი V: | | | | | | 2400.70 | | | 8833.74 |
| | ზედნადები ხარჯები ხელფასიდან | 75% | | | | | | | | 1800.53 |
| | ჯამი | | | | | | | | | 10634.27 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 850.74 |
| | ჯამი : | | | | | | | | | 11485.01 |
| | გაუთვალისწინებელი სამუშაოები 5 % | 5% | | | | | | | | 574.25 |
| | სულ ჯამი V: | | | | | | | | | 12059.26 |
| | სულ ჯამი (I+II+III+IV)+V: | | | | | | | | | 355923.73 |
| | დღგ 18% | 18% | | | | | | | | 64066.27 |
| | სულ ჯამი: | | | | | | | | | 419990.00 |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი:
გ. კოპალეიშვილი

## გეგმა - გრაფიკი

| # | სამუშაოების დასახელება | 1 კვირა | 2 კვირა | 3 კვირა | 4 კვირა | 5 კვირა | 6 კვირა | 7 კვირა | 8 კვირა | 9 კვირა | 10 კვირა | 11 კვირა | 12 კვირა | 13 კვირა | 4 დღე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ ქუთაისში, სოლომონ პირველის ქ. №46ა-ში მდებარე ე. წ. „ხარაზოვის" სკვერში არსებული ტერიტორიის და შადრევნის რეაბილიტაციის სამუშაოები | | | | | | | | | | | | | | |
| | შადრევნის რეაბილიტაცია | | | | | | | | | | | | | | |
| | სკვერის ტერიტორიის რეაბილიტაცია | | | | | | | | | | | | | | |
| | სკვერის შემოღობვა | | | | | | | | | | | | | | |
| | დენდროლოგიური და მიწის სამუშაოები | | | | | | | | | | | | | | |
| | ელექტრომომარაგება | | | | | | | | | | | | | | |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი:

გ. კოპალეიშვილი

დანართი 3

მონაცემები პრეტენდენტის მატერიალურ ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ

| მანქანა მექანიზმების დასახელება | მარკა/მოდელი | გამოშვების წელი | რაოდენობა | საკუთრება/ქირა/იჯარა/თხოვება და ა.შ. |
|---|---|---|---|---|
| ბეტონმზიდი | MAN 41.364 | 2002 | 1 | საკუთარი |
| ბეტონმზიდი | volvo FM12 | 1999 | 1 | საკუთარი |
| ბეტონმზიდი | renault MAXTER G340 | 1995 | 1 | იჯარა |
| ბეტონმზიდი | renault MAXTER G340 | 1996 | 1 | იჯარა |
| ბეტონმზიდი | MAN 26.272 | 1994 | 1 | იჯარა |
| ექსკავატორ | CASE 580T | 2011 | 1 | საკუთარი |
| ექსკავატორი | JCB 3CX | 2016 | 1 | საკუთარი |
| დამთვირთველი (ბობკატი) | CASE SR 200 | 2015 | 1 | საკუთარი |
| თვითმცლელი | DAF | 2002 | 1 | იჯარა |
| თვითმცლელი | SCANIA | 1998 | 1 | იჯარა |
| თვითმცლელი | volvo FM12 | 1999 | 1 | იჯარა |
| თვითმცლელი | mercedes-benz 1835 | | 1 | იჯარა |
| თვითმცლელი | mercedes benz 3028 lk | | | იჯარა |
| ბეტონსაქაჩი ტუმბო | mercedes benz 2631 | 1999 | 1 | იჯარა |
| ვიბრო სატკეპნი | LG 400HONDA | 2015 | 1 | საკუთარი |
| ვიბრო სატკეპნი | LG 100 HONDA | 2012 | 1 | საკუთარი |
| სატკეპნი გლუვი 10ტ | 10t. HAMM DV 10.22 | 1992 | 1 | იჯარა |
| სატკეპნი გლუვი | terex | 2007 | 1 | იჯარა |
| გრეიდერი | SDLG | 2016 | 1 | იჯარა |
| გრეიდერი | HBM NOBAS (BV160T-4) | | 1 | იჯარა |
| ასფალტის ხერხი | orka honda | | 1 | საკუთარი |
| მოსაპრიალებელი 60სმ | | | 1 | საკუთარი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსაპრიალებელი 90 სმ | | | 1 | საკუთარი |
| ბეტონის კვანძი | | | 1 | საკუთარი |
| კომპრესორი | xas66 | | 1 | იჯარა |
| პომპა | მერსედესი | | 1 | იჯარა |
| ბულდოზერი | ტ-130 | | 1 | იჯარა |
| ბულდოზერი | დტ130 | | 1 | იჯარა |
| ავტოცისტერნა | კამაზ 53605 | | 1 | იჯარა |
| სატკეპნი საგზაო თვითმავალი გლუვი რუსული 5 ტ | რუსული | | 1 | იჯარა |
| ბეტონის ვიბრო ლარტყა | | | 2 | საკუთარი |

შპს"გი-ან2011"
დირექტორი

გ.კოპალეიშვილი